

| ვაკანტურ თანამდებობაზე გამოსაცხადებელი კონკურსის პირობები                            |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                              |
|--------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| თანამდებობის /პოზიციის დასახელება                                                    | მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიმართულების მენეჯერი (შტატგარეშე)                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                     |
| კატეგორია                                                                            | <input checked="" type="checkbox"/> შტატგარეშე<br><input type="checkbox"/> (შტატგარეშე/მომსახურების ხელშეკრულება-ტრენერებისთვის)                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                             |
| შრომის ანაზღაურების ოდენობა (შრომის ანაზღაურების წესის გათვალისწინებით)              | შეთანხმებით (განათლებისა და გამოცდილების გათვალისწინებით)                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                    |
| ხელშეკრულების ხანგრძლივობა (გამოსაცხადელი ვადის ხანგრძლივობა საჭიროების შესაბამისად) | 3 თვის გამოსაცხადელი ვადით.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                  |
| სამუშაოს აღწერა (ფუნქცია მოვალეობები)                                                | <p><b>პროექტის აღწერა:</b></p> <p>პროექტი "პროფესიული განვითარების ხელშეწყობა" წარმოადგენს ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ საქართველოს განათლების სისტემის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გამოყოფილი გრანტის ფარგლებში წარმოქმნილ ინიციატივას, რომელიც გულისხმობს მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიულ განვითარებას, პროფესიული განვითარებისათვის საჭირო რესურსების შექმნას და დანერგვას. აღნიშნული პროექტის პროფესიული განვითარების მიმართულებებში პრიორიტეტულია ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებისა და დანერგვის უნარების გაძლიერება და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობა პროფესიული განვითარების მიზნებისათვის. პროექტის ხანგრძლივობაა 4 წელი. პროექტის წარმატებით განხორციელების მნიშვნელოვანი წინაპირობაა მისი მდგრადობა და შესაბამისობა განათლების სისტემის სტრატეგიასთან.</p> <p><b>სამუშაოს აღწერა</b></p> <p>1. პროექტის სამიზნე ჯგუფის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განსაზღვრა და წარდგენა;</p> |

2. პროფესიული განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით მოსაზრებებისა და რეკომენდაციების შემუშავება და წარდგენა პროექტის მენეჯერთან და დაინტერესებულ მხარეებთან, აღნიშნულის განსახორციელებლად საჭირო მასალის შექმნა.
3. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიმართულების ბიუჯეტის განსაზღვრა და განკარგვაში მონაწილეობა;
4. პროექტის სამიზნე ჯგუფ მასწავლებელთათვის მოდულების და დამხმარე მასალების შემუშავებაში მონაწილეობა, მოდულებისა და მასალის შექმნის მონიტორინგი;
5. პროექტის კონსულტანტებთან თანამშრომლობა, ორმხრივი კომუნიკაციის უზრუნველყოფა მოდულის შემქმნელთა და კონსულტანტთა შორის;
6. პროექტის კონსულტანტებთან ერთად პროფესიული განვითარების აქტივობების ხარისხის მართვის მექანიზმების შექმნაში მონაწილეობა და ხარისხის მონიტორინგი;
7. პროექტის ფარგლებში სასწავლო ჯგუფებთან ადგილზე ვიზიტების განხორციელება;
8. პროექტის ეფექტიანად დანერგვისთვის სხვადასხვა ანგარიშების წარდგენა, ანგარიშების მომზადებაში მონაწილეობის მიღება;
9. პროექტის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების დაგეგმვა და შესრულების უზრუნველყოფა;
10. პროექტის მენეჯერისა და ცენტრის დირექტორის დავალებით, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ცენტრის ინტერესებიდან გამომდინარე სხვა მოვალეობების შესრულება;
11. ანგარიშვალდებულია პროექტის მენეჯერისა და ცენტრის დირექტორის წინაშე და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ცენტრის დირექტორის კურატორი მოადგილის წინაშე (წარადგენს ანგარიშებს პროექტის პროგრესისა და ეფექტურობის შესახებ)

**საკვალიფიკაციო  
მოთხოვნები**

**განათლება:**

➤ აუცილებელი:

უმაღლესი განათლება სოციალურ ან ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, კერძოდ ანგლისტიკა, პედაგოგიკა, განათლება, სოციოლოგია, ფსიქოლოგია

**სამუშაო გამოცდილება:**

აუცილებელი:

- მასწავლებელთათვის ტრენინგ-მოდულების შემუშავებისა და ტრენინგების ჩატარების მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება;
- სასწავლო და დამხმარე მასალების შექმნის გამოცდილება;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიმართულებით ფართო მასშტაბიანი პროექტების განხორციელებაში მონაწილეობის გამოცდილება;
- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მასწავლებლად მუშაობის გამოცდილება;
- საერთაშორისო ექსპერტებთან მუშაობის მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება;

**ცოდნა/კომპეტენცია :**

- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოების უნარი;
- ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
- მაღალი ანალიტიკური უნარები (პრობლემის გადაჭრა, ფორს მაჟორულ სიტუაციაში მართვა, კრიტიკული აზროვნება).
- ინგლისურ ენაზე დოკუმენტაციის წარმოების მაღალი უნარები;

**პიროვნული თვისებები:**

- მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა;
- გუნდური მუშაობის უნარი;
- დეტალებზე ორიენტირებულობა;
- ორგანიზებულობა.
- პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებულობა;

**ენების ცოდნა:**

ქართული - ძალიან კარგი (3-ვე კომპონენტი)

ინგლისური-ძალიან კარგი (3-ვე კომპონენტი)

|                                                                                                                                            |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |                      |             |                       |              |            |              |                        |              |             |              |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------------|-------------|-----------------------|--------------|------------|--------------|------------------------|--------------|-------------|--------------|
| <p>კომპიუტერული<br/>პროგრამები,<br/>ოპერაციული<br/>სისტემები</p>                                                                           | <table> <tr> <td>პროგრამის დასახელება</td><td>ცოდნის დონე</td></tr> <tr> <td>Microsoft Office Word</td><td>ძალიან კარგი</td></tr> <tr> <td>MS Outlook</td><td>ძალიან კარგი</td></tr> <tr> <td>Microsoft Office Excel</td><td>ძალიან კარგი</td></tr> <tr> <td>Power Point</td><td>ძალიან კარგი</td></tr> </table>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                               | პროგრამის დასახელება | ცოდნის დონე | Microsoft Office Word | ძალიან კარგი | MS Outlook | ძალიან კარგი | Microsoft Office Excel | ძალიან კარგი | Power Point | ძალიან კარგი |
| პროგრამის დასახელება                                                                                                                       | ცოდნის დონე                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                    |                      |             |                       |              |            |              |                        |              |             |              |
| Microsoft Office Word                                                                                                                      | ძალიან კარგი                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                   |                      |             |                       |              |            |              |                        |              |             |              |
| MS Outlook                                                                                                                                 | ძალიან კარგი                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                   |                      |             |                       |              |            |              |                        |              |             |              |
| Microsoft Office Excel                                                                                                                     | ძალიან კარგი                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                   |                      |             |                       |              |            |              |                        |              |             |              |
| Power Point                                                                                                                                | ძალიან კარგი                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                   |                      |             |                       |              |            |              |                        |              |             |              |
| <p>სამუშაოზე<br/>გამოცხადების<br/>გრაფიკი:<br/>(შინაგანაწესით<br/>გათვალისწინებული,<br/>თავისუფალი,<br/>კონკრეტული<br/>დღეები/საათები)</p> | <p>სრული განაკვეთი</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                         |                      |             |                       |              |            |              |                        |              |             |              |
| <p>სამართლებრივი<br/>აქტების ცოდნა</p>                                                                                                     | <p>საქართველოს კანონი "ზოგადი განათლების შესახებ";<br/>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანება "ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ";<br/>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 30 ნოემბრის ბრძანება №115/ნ "საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტის დამტკიცების შესახებ";<br/>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის N163/ნ ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დაფუძნების, მისი დებულების დამტკიცებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის" დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 20 ივლისის N714 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ";<br/>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის ბრძანება N1014 "მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ".</p> |                      |             |                       |              |            |              |                        |              |             |              |

**დამატებითი  
ინფორმაცია**

**კანდიდატმა შესაბამის გრაფაში სავალდებულოდ უნდა მიუთითოს:**

- ✓ ორი რეკომენდატორის სახელი და გვარი, სამუშაო ადგილისა და საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით;
- ✓ აღნიშნულ პოზიციაზე მუშაობისთვის სასურველი ხელფასი

**კანდიდატმა შესაბამის გრაფაში სავალდებულოდ უნდა ატვირთოს:**

- ✓ სამოტივაციო წერილი ინგლისურ ენაზე (არაუმეტეს 200 სიტყვისა), წარმოდგენილ ვაკანსიაზე დაინტერესების მოტივაციის და კანდიდატის ძლიერი მხარეების შესახებ, რაც განაპირობებს პროექტის დაწერგვის წარმატებულობას;
- ✓ უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დასკანერებული ასლი.

**კონკურსის ეტაპები:**

1. განაცხადების გადარჩევა
2. გასაუბრება

გადაწყვეტილების მიღების ფორმა:

საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით, განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.

**საკონტაქტო  
ინფორმაცია**

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის მისამართი: ქ. თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. N1

საკონტაქტო ტელეფონი: +995322200220 (4906)

საკონტაქტო პირი: თამარ ბაქრაძე

განცხადების წარდგენის ბოლო ვადა: 2015/07/19